



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1620
31/08/2018

ქალაქი ბათუმი

1620-05-4-201808311448



„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის დისციპლინური წარმოების დამოუკიდებელი კომისიის შექმნის შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 02 აგვისტოს №1443 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ე“ პუნქტის, „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად **ვბრძანებ:**

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის დისციპლინური წარმოების დამოუკიდებელი კომისიის შექმნის შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 02 აგვისტოს №1443 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თამილა ბერიძის შვებულებაში ყოფნის პერიოდით (2018 წლის 31 აგვისტოდან 17 სექტემბრის ჩათვლით), ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) მარიკა ბერიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, დროებით დამატებითი ფუნქციების შემსრულებელი - იურიდიულ საკითხებში - კომისიის წევრი.“

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა